

ანთროპოგენური ევტროფიკაციის ზეგავლენა საქართველოს ზოგიერთი წყალსატევის ზოოპლანქტონის თვისობრივ და რაოდენობრივ სტრუქტურაზე

ზელიმხან კერესელიძე

zelimkhan.kereselidze@tsu.ge

ბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, 0143 თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა 2

საკვანძო სიტყვები:

ზოოპლანქტონი, ანთროპოგენური, ევტროფიკაცია, დომინირებული, თვისობრივი და რაოდენობრივი სტრუქტურა.

ევტროფიკაციის პროცესი თავის გამოხატულებას პოულობს წყალსატევის ზოოპლანქტონის თვისობრივ და რაოდენობრივ სტრუქტურაში - იცვლება საერთოდ სახეობების და დომინირებული ფორმების რიცხვი, ზოოპლანქტონის რიცხოვნობა და ბიომასა.

გასული წლის ზაფხულში კუმისის, სიონის, ბაზალეთის და ტაბაწყურის ტბებიდან ავიღეთ პლანქტონური მასალა, დავამუშვეთ კამერალურად და შედეგები შევადარეთ სხვა წლების ამავე პერიოდის მასალებს. გამოიკვეთა ასეთი სურათი:

კუმისის წყალსაცავში 50 წლის მანძილზე 3-ჯერ შემცირდა ზოოპლანქტონის სახეობების რიცხვი, შეიცვალა დომინირებული ფორმები. ამჟამად ბატონობს ევრიბიონტი ნიჩაბფეხიანები; შემცირდა ზოოპლანქტონის რიცხოვნობა და ბიომასა.

განსხვავებული სურათია სიონის წყალსაცავში: დღემდე არ შეცვლილა დომინირებული ფორმები, რაოდენობრივი სტრუქტურა მცირე ფარგლებში ცვალებადობდა.

ბაზალეთის ტბაში თავი იჩინა ევტროფიკაციის ნიშნებმა: დომინირებული ფორმების რიცხვი შემცირდა, შეიცვალა რიცხოვნობა და ბიომასა. მსგავსი სურათია ტაბაწყურის ტბაში.

ლიტერატურა:

1. В. И. Жадин. Жизнь пресных вод СССР. Том 3. М., Л. 1950 г.
2. А. В. Монаков, Труды биологической станции „Борок“, выпуск 3, 1958 г.
3. Е. Ф. Мануйлова, Труды биологической станции „Борок“, выпуск 3, 1958 г.
4. Н. А. Дзюбан, Труды шестого совещания по проблемам биологии внутренних вод, М., Л. 1959 г.
5. Л. И. Лебедева, Бюллетень МОИП отдел биологический №6, 1961 г.
6. Г.Б. Мельников, Гидробиологический журнал, том 2. №2. 1966 г.